განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

2022 წლის 8 და 9 აგვისტო
დასკვნის წარდგენის თარიღი
10/10/2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	424066977
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა PHD Program of Veterinary Medicine
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ვეტერინარიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0841 ვეტერინარია Veterinary
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	50
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი,	გიორგი მელაშვილი, საქართველოს

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	აგრარული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ციცქიშვილი, ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი ჯანაშია, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მირანდა ნონიკაშვილი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა ახალია და მიზნად ისახავს, მოამზადოს კვალიფიციური ვეტერინარიის დოქტორები, რომლებიც შეძლებენ ვეტერინარიის დარგში თანამედროვე სამეცნიერო კვლევის განხორციელებას, ასევე პედაგოგიურ საქმიანობას. სადოქტორო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნები სადოქტორო საფეხურისადმი, სადოქტორო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება, ასევე შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3-თან. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის მოცულობა 50 კრედიტია, მათ შორის, სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი, ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი.

სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ემსახურება ვეტერინარიის დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა და უმაღლესი განათლების პედაგოგთა მომზადებას. პროგრამის განხორციელებისა და დოქტორანტთა კვლევის მხარდასაჭერად, უნივერსიტეტს აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შესაბამის ორგანიზაციებთან, აქვს მჭიდრო თანამშრომლობა თურქეთის ყარსის ვეტერინარიის ფაკულტეტთან. პროგრამის განხორციელება მხარდაჭერილია შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის შეფასების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით **MES 9 22 0000793452, 12/07/2022 (ცვლილება 13/09/2022, MES 5 22 0001067426)**, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტთა ჯგუფმა წინამოსამზადებელი შეხვედრა გამართა 22 ივლისს, ჯგუფმა განიხილა პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები და მიგნებები.

პროგრამის შეფასება განხორციელდა 8-9 აგვისტოს. პროგრამის შეფასება და დაინტერესებულ მხარეთა ინტერვიუირება გაიმართა ადგილზე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის

სახელმწიფო უნივერსიტეტში. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, შეფასებაში მონაწილეობას იღებდა დისტანციურად. ასევე, ინტერვიუს ზოგიერთი მონაწილე დისტანციურად ჩაერთო პროცესში. დღის წესრიგის შესაბამისად, 8 აგვისტო დაეთმო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებას, 9 აგვისტოს კი ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს, პროგრამის აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებსა და სტაჟირების განმახორციელებლებს. ვიზიტის ბოლოს ჯგუფმა დაწესებულებას გააცნო ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ, კეთილგანწყობილ და კოლეგიურ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის მიწოდება მოხდა შეუფერხებლად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, გაცემული რეკომენდაციების შესრულება და გასაუმჯობესებელი მხარეების დაძლევა შესაძლებელია მოკლევადიან პერიოდში:

სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა- **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სტანდარტი 2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სტანდარტი 3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სტანდარტი 4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

სტანდარტი 5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

- **რეკომენდაციები**

1. დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით აუცილებელია სამეცნიერო კვლევის საფუძვლების კურსის დამატება.

2. რეკომენდებულია დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება სავალდებულო იყოს ნებისმიერი, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე კანდიდატისთვის.

3. დასახვეწია კურსის - სამეცნიერო კვლევის მეთოდების შინაარსი, და შესაცვლელია მისი მიზნები და ამოცანები; კერძოდ, მისასადაგებელია პროგრამის სწავლის შედეგებს.

4. პროგრამა უნდა მოიცავდეს ბიოსტატისტიკის მეთოდების სწავლებას.

5. გასაუმჯობესებელია არჩევითი საგნების სილაბუსებში მითითებული საკითხების შინაარსი, კერძოდ მისასადაგებელია დოქტორანტის-მკვლევარის მოთხოვნებსა და შესაძლებლობებთან; ყველა არჩევითი საგნის სილაბუსში უნდა იყოს მითითებული მოცემულ დარგში მიმდინარე კვლევების ტენდენციების და ე.წ. State of the Art. ამსახველი ინგლისურენოვანი სამეცნიერო მიმოხილვები.

6. სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასება საჭიროებს გადახედვას და მოთხოვნების გამკაცრებას. რეკომენდებულია, სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება გახდეს სავალდებულო ყველა დოქტორანტისთვის და პროგრამაში არსებული ჩანაწერი რომ „პატენტი ან პრეპარატის წარმოებაში დანერგვა ენაცვლება აღნიშნულ მოთხოვნას“ ანულირდეს.ამასთან, ნაცვლად რეფერირებული ჟურნალისა, როგორც ამჟამად არის განსაზღვრული პროგრამით, დოქტორანტს ჰქონდეს ვალდებულება, გამოაქვეყნოს სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.

7. საჭიროა ვეტერინარული კლინიკის მოწყობა.

8. ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულ იქნეს ხარჯები ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და რეკონსტრუქციისათვის, მათ შორის, ვეტერინარიული კლინიკის მოწყობისთვის.

9. სრულად დაინერგოს სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში და პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, იმსჯელეთ კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილებაზე (მაგალითად, ფოკუს-ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების გამოყენება გამოკითხვის ნაცვლად);

10. უნივერსიტეტი ახორციელებს დოქტორანტთა მიერ პროგრამის დასრულების მაჩვენებელს, რაც მისასალმებელია სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის, თუმცა, რეკომენდებულია, ანალიზი მოიცავდეს უფრო სრულყოფილ ინფორმაციასა და ანალიზს დოქტორანტების პროგრესიის შესახებ - რამდენ აქტიურ სემესტრში ასრულებენ დოქტორანტები სადოქტორო ნაშრომზე მუშაობას, რა არის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები და სხვა ინფორმაცია, რაც მოემსახურება სადოქტორო პროგრამების ხარისხის განვითარებას.

დაწესებულებამ, დასკვნის პროექტის გაცნობის შედეგად, წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (წერილი MES 8 22 0001187471, 29/09/2022), რომელშიც ეთანხმება რიგ რეკომენდაციებს და გამოთქვამს მზაობას შეასრულოს რეკომენდაციები, ასევე წარმოადგენს კონკრეტული რეკომენდაციების შესრულების თუ ვიზიტის შემდგომ განვლილი პროგრესის შესახებ

ინფორმაციას. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება დაწესებულების მიერ განხორციელებულ აქტივობებს, მათ შორის, ვეტერინარიული კლინიკის კეთილმოწყობის მიზნით, თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტთა დასვკნა და დასკვნაში გაცემული რეკომენდაციები არ შეცვლილა, ვინაიდან ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს აკრედიტაციის ვიზიტის შემდგომი ცვლილებები.

ამასთან, რიგ რეკომენდაციებთან მიმართებით, დამატებით წარმოვადგენთ არგუმენტაციას, თუ რატომ არ მოხდა დაწესებულების პოზიციის გათვალისწინება, კერძოდ:

სტანდარტის კომპონენტ 1.2-სა და 2.2-ში გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით, წინამდებარე ორი სტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია გასაგებია. დაწესებულებას მიაჩნია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსები: *სამეცნიერო წერის მეთოდები, სამეცნიერო კვლევის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები და სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტი* ფარავს სამეცნიერო კვლევის საფუძვლების კომპონენტებს სრულფასოვნად.

თუმცა, დამატებით წარმოვადგენთ იმ საკითხების ნუსხას, რომელთა სწავლებაც დოქტორანტებისთვის პროგრამას მხოლოდ გაამდიდრებდა და გააძლიერებდა:

1. სამეცნიერო კვლევის ტიპები: სამეცნიერო კვლევის ტიპები: ფუნდამენტური და გამოყენებითი, ინტერდისციპლინური და მულტიდისციპლინური, ინდივიდუალური და ჯგუფური კვლევა, ერთობლივი კვლევები;
2. ობსერვაციული (ჯვარედინ-სექციური, შემთხვევა-კონტროლი, კოჰორტული) და ინტერვენციული/ექსპერიმენტული კვლევები - შესრულების თავისებურებები, უპირატესობა და ნაკლოვანებები; მოსალოდნელი შეცდომები კვლევების დროს.
3. სპეციალური კითხვარის შედგენა ობსერვაციული კვლევებისთვის.
4. რანდომიზებული კონტროლირებადი კვლევა.
5. სამკურნალო და პროფილაქტიკური პრეპარატების პრეკლინიკური და კლინიკური კვლევების ეტაპები. კლინიკური კვლევის ფაზები.

პროგრამის ხელმძღვანელებს შეუძლიათ გადაწყვიტონ, თუ რომელ კურსის სილაბუსში შეიტანენ ამ საკითხებს.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი აფიქსირებს პოზიციას მათ მიერ შემუშავებული ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის მიერ მხოლოდ გამოყენებითი კლინიკური კვლევების გათვალისწინებისა, ჩამონათვალში ვხვდებით შემდეგ მიმართულებებს:

1. ინფექციური დაავადებები, თერაპია და პროფილაქტიკა **(სცდება მხოლოდ კლინიკური კვლევის ფარგლებს);**
2. ცხოველური წარმოშობის სურსათის უვნებლობა **(არ არის კლინიკური კვლევა);**
3. პათოლოგია, ონკოლოგია და მორფოლოგია **(მოიცავს როგორც კლინიკურ, ისე ლაბორატორიულ კვლევებს).**

ვეტერინარიაში კვლევის ფართო პალიტრა იშლება და თუკი დაწესებულება იზღუდავს კვლევის სპექტრს ეს მათ მიერ მოწოდებულ ჩამონათვალშიც უნდა აისახოს.

ბიოსტატისტიკის მეთოდების სწავლებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის პოზიცია, რომ ეს საგანი ისწავლება სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ასევე არ იქნა სრულად გაზიარებული. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობა მათ შორის უცხოელ მოქალაქეებსაც აქვთ. გარანტია იმისა, რომ მათ „ბიომათემატიკა და მათემატიკური სტატისტიკის“ კურსი გავლილი ექნებათ არ არის.

გარდა ამისა, დოქტორანტებს ამ დისციპლინის ბერკეტების გაცნობა უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეიძლება დასჭირდეთ. ასევე, ეს საგანი არ არის წმინდა პროფესიული (ვეტერინარული) ხასიათის საგანი და მისი სწავლიდან შესაძლოა დიდი დროც იყოს გასული. რეკომენდაციას ვუწევთ უნივერსიტეტს სულ მცირე არჩევითი საგნის სახით ჰქონდეს ეს საგანი შეთავაზებული დოქტორანტებისთვის.

დაწესებულების პოზიციაში პატენტითა და პრეპარატის შექმნითა და წარმოებაში დანერგვით სამეცნიერო სტატიის ჩანაცვლების შესაძლებლობის შესახებ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციის გაბათილების არგუმენტი ვერ იქნება გაზიარებული.

პრეპარატის შექმნისა და წარმოებაში დანერგვის სირთულის შესახებ სპეკულირება შესაძლებელია იგივე წარმატებით, როგორც იმის მტკიცება, რომ ეს პროცესი შესაძლოა ძალიან მარტივიც აღმოჩნდეს. შესაძლებელია ე.წ ჯენერიკი ფარმაკოლოგიურად აქტიური ნაერთისთვის შეფუთვის ფორმის შეცვლა, უფუნქციო ადიუვანტის დამატება და ამგვარი პროდუქტის ახალი პრეპარატის სახით დანერგვა წარმოებაში.

იგივე ეხება პატენტის საკითხს, მით უფრო, რომ დოქტორანტი მეცნიერების გზაზე მყოფი სტუდენტია, მეცნიერება კი საყოველთაო, გამჭვირვალე და ღია უნდა იყოს. სამეცნიერო მიგნებები ისევ მეცნიერების სამსახურში უნდა აღმოჩნდეს და გამოქვეყნდეს. პატენტისა და პრეპარატის წარმოებაში დანერგვის ფორმალური სინამდვილის გათვალისწინებით, ეს ორი შესაძლებლობა ვერ იქნება საიმედო მარკერი სამეცნიერო პროდუქტიულობისა.

პოზიცია იმპაქტფატორის მქონე ჟურნალში სტატიის გამოქვეყნების არსაჭიროების შესახებ (**სტანდარტის კომპონენტი 2.6**), იმ შემთხვევაში თუ სამეცნიერო პუბლიკაცია მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნდება ასევე არ იქნა გათვალისწინებული. ჟურნალის მაღალი რეიტინგის საიმედო მარკერი სწორედ იმპაქტფაქტორია. ვეტერინარიის სფეროში საქართველოში ჩატარებული სამეცნიერო კვლევათა ამსახველი პუბლიკაციების იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნება, მათ შორის, წარმოდგენილი ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების მიერ, საქართველოში მოღვაწე მეცნიერების ცნობადობის გაუმჯობესებას და მათ მიერ განხორციელებულ კვლევათა სანდოდ და ღირებულად აღქმას შეუწყობს ხელს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა მეტი საერთაშორისო კავშირის დამყარება.
2. რადგან უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა (ლაბორატორიები, სამანიპულაციო, ვივარიუმი და ა.შ) ვეტერინარიაში კვლევის ჩასატარებლად არ არის აღჭურვილი, აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, პირველი 5 წლის განმავლობაში პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით წლიურად არა უმეტეს 3 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა უნდა შეიქმნას. კვლევა მემორანდუმებით დაკავშირებული გარე ლაბორატორიებისა და პარტნიორი ინსტიტუტების ბაზაზე დაყრდნობით იგეგმება. კვლევის

განხორციელების შემოთავაზებული მოდელი საჭიროებს გამოცდას, რასაც დრო სჭირდება.

3. პროგრამის განვითარების მიზნით პოტენციურმა სამეცნიერო ხელმძღვანელებმა, საკუთარი კვლევის სფეროს ინტერესებისა და კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის ვებგვერდზე (რუბრიკით კვლევა) პერიოდულად უნდა გამოსცენ და განაახლონ შესაბამისი, პრიორიტეტული და ქვეყნის ვეტერინარიისთვის რელევანტური სამეცნიერო საკითხების მიმოხილვა და ამგვარად გააუმჯობესონ მომავალი დოქტორანტების ორიენტირებულობა ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე და ასევე გაზარდონ პროგრამის სარგებლიანობა ფართო საზოგადოებისთვის.
4. მემორანდუმით განსაზღვრულ პარტნიორ კვლევით ცენტრებთან დოქტორანტების კვლევით საქმიანობაში ჩართვის დაგეგმვისას უფრო დეტალურად უნდა იყოს განსაზღვრული რომელ კონკრეტულ აქტივობებში იქნება დოქტორანტების ჩართვა მათ ბაზაზე შესაძლებელი. აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაციის გაცვლა-შეთანხმება საჭიროებისამებრ რეგულარულ ხასიათს უნდა ატარებდეს, რათა მაქსიმალურად ეფექტურად გამოვლინდეს შესრულებადი და მიზანშეწონილი საკვლევი საკითხების ნუსხა და დოქტორანტებმა არ დაკარგონ წლები მათ ძიებაში.

5. სასურველია, რომ სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში გარანტირებულად იყოს გარე შემფასებლის/შემფასებლების (არა აუცილებლად უცხოელის) მონაწილეობა უზრუნველყოფილი; ასეთ შემთხვევაში, ჩანაწერში უნდა მიეთითოს - არა შეიძლება, არამედ „უნდა“.
6. სადოქტორო საფეხურის კვლევითი პროექტებისთვის ვეტერინარიაში სასურველია გაიზარდოს საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის წახალისება და გარე დაფინანსების წყაროების მოძიება.
7. სასურველია ვეტერინარიის მიმართულებით არსებულ ან სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად დაიგეგმოს კვლევითი პროექტების მიმართულებები არსებული რესურსების გათვალისწინებით დაზუსტდეს და კონკრეტულად ჩამოყალიბდეს საკვლევი საკითხები (მაგალითად, კვლევის სათაური, კვლევის დიზაინი, კვლევის ინსტრუმენტი), რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში კვლევითი მიმართულებების გაძლიერებას.
8. სასურველია რომ პუბლიკაციების მომზადებასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრები ან კურსები გახდეს სავალდებულო ხასიათის სადოქტორო საფეხურის ყველა სტუდენტისთვის, რათა მათი სამეცნიერო და აკადემიური აქტივობის ხარისხი ამაღლდეს.
9. სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმებში, სასურველია ყურადღება გამახვილდეს ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებსა და ხელმძღვანელის მიმდინარე კვლევით პროექტებში ჩართულობაზე.
10. სასურველია პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პედაგოგებმა გამოიჩინონ მეტი ძალისხმევა, მათ მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების საერთაშორისო, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად.
11. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების გარე კოლეგიური შეფასებები უფრო მეტად იყოს ფოკუსირებული საგანმანათლებლო პროგრამის თუ მისი კომპონენტების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაზე, პროგრამის განვითარების მიზნით რეკომენდაციების წარმოდგენაზე, ვიდრე პროგრამის განხორციელების შესახებ რეკომენდაციის გაცემაზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიღწევადი და რეალისტურია. პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული. სადოქტორო საფეხურის განათლების შესაბამისად, პროგრამის მიზნები მიმართულია კვალიფიციური კადრების მომზადებისკენ, რომლებიც შეძლებენ ვეტერინარიის მიმართულებით დამოუკიდებლად სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პედაგოგიური სწავლების განხორციელებას. ამასთან, სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს დარგში ახალი მეცნიერული ცოდნის შექმნას, ვეტერინარიაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურებასა და მკვლევართა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციას. შესაბამისად, პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში, ამასთან, ასახულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვეტერინარიის მიმართულებით აქვს უნიკალური ადამიანური რესურსი მაღალკვალიფიციური პროფესურის სახით, საერთაშორისო კავშირები, მნიშვნელოვანი მემორანდუმები და ხელშეკრულებები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რაც ქმნის სრულყოფილ გარემოს, როგორც

დარგობრივი კვლევითი და სასწავლო საქმიანობის, ასევე ინტერდისციპლინარული კვლევების განხორციელების, მთლიანობაში კი შესაძლებლობას იძლევა მომზადდეს კვალიფიციური ვეტერინარიის დოქტორი, რომელსაც შეეძლება ჩაერთოს სამეცნიერო, პედაგოგიურ და პრაქტიკულ საქმიანობაში სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია სავეტერინარო მედიცინის მაგისტრებისთვის ან მათთან გათანაბრებული პირებისთვის, იგი მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ კომპონენტებს და რა თქმა უნდა სამეცნიერო კვლევას, რაც განხორციელდება როგორც სასწავლო დაწესებულების, ისე პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე. დოქტორანტები, თავისი სამეცნიერო საქმიანობით უზრუნველყოფენ ახალი მეთოდების დანერგვას, არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას და როგორც ფუნდამენტურ, ასევე გამოყენებით სამეცნიერო საქმიანობას. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია უნივერსიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის მიზნები ასევე ითვალისწინებს დარგისა და საზოგადოების მოთხოვნებს, ახალგაზრდა მკვლევრების მომზადებას ვეტერინარიის მიმართულებით. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა პროგრამის განმახორციელებელი პირების მიერ პროგრამის მიზნების გაზიარება, მათი ჩართულობა პროგრამის, მათ შორის, მისი მიზნების შემუშავებისას. პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომი იქნება პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ვინაიდან ის პროგრამის განუყოფელი ნაწილია და საგანმანათლებლო პროგრამა განთავსებული იქნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა, ასევე პროგრამის დანართები; ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ○ უნივერსიტეტის მისია, ხედვა, სტრატეგია (უნივერისიტეტის ვებ-*გვერდი).*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა მეტი საერთაშორისო კავშირის დამყარება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის შედეგები მკაფიოდ არის ფორმულირებული, რაც იძლევა მათი დაკვირვების, სრულყოფილი შეფასების და გაზომვის საშუალებას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, შეესაბამება სადოქტორო განათლების საფეხურსა და ვეტერინარიის დოქტორის კვალიფიკაციას. თუმცა, ჩამოთვლილი საგნების ნუსხაში (როგორც სავალდებულო, ასევე არჩევითი) არ ჩანს სამეცნიერო კვლევის საფუძვლების კურსი, რაც ნაგულისხმევია, როგორც მაგისტრებისთვის აუცილებელი სწავლების კომპონენტი, შესაბამისად იგულისხმება, რომ დოქტორანტს უნდა ჰქონდეს აღნიშნული სასწავლო კომპონენტი ათვისებული, რაც შეიძლება იყოს პრობლემა, რადგან ყველა დოქტორანტს შეიძლება არ ჰქონდეს აღნიშნული

კურსი გავლილი, ან აღარ ჰქონდეს სათანადო კომპეტენცია რიგი მიზეზების გამო, რამაც შესაძლოა, ხელი შეუშალოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, შემუშავებული მექანიზმი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ, შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, დარგისა და სადოქტორო საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებით. პირდაპირი შეფასების მეთოდად, მაგალითად, განსაზღვრულია სადოქტორო სემინარი, პროფესორის ასისტენტობა, სადისერტაციო ნაშრომი. არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია - პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება, სამეცნიერო თემის ხელმძღვანელის დაკვირვება და სხვ. თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნული. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს პროცესში პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობასა და შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამის განვითარებისთვის. პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, აღნიშნული განხორციელდა მათთან შეხვედრების ფორმატში, სადაც დაინტერესებულ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გამოეთქვათ თავისი მოსაზრება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის სამსახურთან ○ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ○ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
რეკომენდაციები: დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით აუცილებელია სამეცნიერო კვლევის საფუძვლების კურსის დამატება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის საჯარო და გამჭვირვალე.

ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ვეტერინარიის მაგისტრს/მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციისა და ცოდნის მქონე პირების ჩარიცხვას საგანმანათლებლო პროგრამაზე.

პროგრამაზე დაშვებისთვის საქართველოს მოქალაქე კანდიდატს ასევე მოეთხოვება ინგლისური ენის კომპეტენციის არანაკლები B2 დონე. ინგლისური ენის კომპეტენცია შესაძლებელია დადასტურდეს წარმოდგენილი სერტიფიკატით, ხოლო კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის შემთხვევაში დოქტორანტობის კანდიდატი აბარებს ინგლისური ენის გამოცდას. პირი, რომელსაც გავლილი აქვს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, თავისუფლდება გამოცდის ჩაბარების ან/და საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის მოთხოვნისგან.

რაც შეეხება უცხოენოვან (უცხო ქვეყნის მოქალაქე) კანდიდატს, მას მოეთხოვება ქართული ენის ცოდნა - არანაკლებ B2 დონე. ვინაიდან ინგლისური ენის კომპეტენცია აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე შესაძლოა არ იყოს ინგლისურენოვანი, რეკომენდებულია დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება სავალდებულო იყოს ნებისმიერი კანდიდატისთვის.

პროგრამაზე დაშვების აღნიშნული წინაპირობის შინაარსი განხილული იყო ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებთან. კერძოდ, უცხო ქვეყნის მოქალაქე შესაძლოა არ იყოს ინგლისურენოვანი და არ ჰქონდეს შესაბამისი კომპეტენცია ინგლისურ ენაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მის მიერ ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნული უფრო მეტად ტექნიკური ხასიათის უზუსტობაა და გამოთქვეს მზაობა დაშვების წინაპირობის დაზუსტებისა.

ენის კომპეტენციის დადასტურების შემდეგ, დარგობრივი კომისია განიხილავს სადოქტორო განაცხადს. ამასთან, დოქტორანტობის კანდიდატს უტარდება საკონკურსო გამოცდა სპეციალობაში (ზეპირი ფორმით, დარგობრივი კომისიის მიერ). სადოქტორო განაცხადი ფასდება 40 ქულით (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 21 ქულა), ხოლო გამოცდა - 60 ქულით (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 30 ქულა).

თანაბარქულიანი კონკურსანტების შემთხვევაში მხედველობაში მიიღება დამატებითი კრიტერიუმები, როგორიცაა სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა და სხვ. დოქტორანტობის კანდიდატს უფლება აქვს გაასაჩივროს საგამოცდო შეფასება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა ჩართვას პროგრამაში (თუმცა, დასაზუსტებელია უცხო ენასთან დაკავშირებული წინაპირობა); პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, სამართლიანია და მისი საჯაროობა უზრუნველყოფილია - დაწესებულება უზრუნველყოფს მიღების დოკუმენტის გამოქვეყნებას, ასევე, პროგრამაში აღწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და ხარისხის სამსახურთან

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია დაზუსტდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება სავალდებულო იყოს ნებისმიერი, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე კანდიდატისთვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

რადგან უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა (ლაბორატორიები, სამანიპულაციო, ვივარიუმი და ა.შ) ვეტერინარიაში კვლევის ჩასატარებლად არ არის აღჭურვილი, აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, პირველი 5 წლის განმავლობაში პროგრამაზე

ჩარიცხვის მიზნით წლიურად არა უმეტეს 3 სტუდენტის მიღების შესაძლებლობა უნდა შეიქმნას. კვლევა მემორანდუმებით დაკავშირებული გარე ლაბორატორიებისა და პარტნიორი ინსტიტუტების ბაზაზე დაყრდნობით იგეგმება. კვლევის განხორციელების შემოთავაზებული მოდელი საჭიროებს გამოცდას, რასაც დრო სჭირდება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა წარმოადგენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც არანაკლებ 3 წლის განმავლობაში მიმდინარეობს. პროგრამა ჯამში 50 კრედიტიანია (სასწავლო კომპონენტი). სადოქტორო პროგრამის კურიკულუმი მოიცავს ორ - სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. სასწავლო პროგრამის კრედიტების განაწილება შემდეგნაირია: • სასწავლო კომპონენტი - 50 კრედიტი (1 კრედიტი 25 სთ.), მათ შორის: ○ სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი; ○ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები -10 კრედიტი; სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი გულისხმობს კვლევითი სადოქტორო ნაშრომის შესრულებას, რაც თავის მხრივ რელევანტური და თანამიმდევრული საფეხურების

შესრულებას მოიაზრებს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად შეესაბამება პროგრამის კვალიფიკაციის დონეს.პროგრამის მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით მასში ინტეგრირებული უნდა იყოს ბიოსტატისტიკის მეთოდების სწავლება, რადგან ვეტერინარიაში განხორციელებულ კვლევათა დიდი ნაწილი კომპლექსურ მონაცემთა დამუშავებისას ბიოსტატისტიკის ბერკეტებს იყენებს. აღნიშნული საგანი ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებული ან არ არის, ან სიღრმისეულად არ ისწავლება.

სავალდებულო სასწავლო კურსის - სამეცნიერო კვლევის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების სილაბუსში იკითხება მხოლოდ კვლევის ლაბორატორიული მეთოდების და არა კვლევის ტიპების (ექსპერიმენტული და ეპიდემიოლოგიური და მათი შესაბამისი ქვეგანხრები) ჩამონათვალი. ლაბორატორიული მეთოდების ურიცხვი რაოდენობა გამოიყენება ვეტერინარულ კვლევაში, თუმცა კვლევის ტიპი (საკუთარი ქვეტიპებით) სულ რამდენიმე არსებობს და ყოველ მათგანს საკუთარი წყობა, პრინციპები და წესები გააჩნია. აღნიშნული სასწავლო კურსის სწორი დიზაინი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სადოქტორო კვლევის სწორად განსასაზღვრად, დასაგეგმად და განსახორციელებლად. პრაქტიკა აჩვენებს, რომ დოქტორანტების დიდი უმრავლესობა ვერ აცნობიერებს რა ტიპის კვლევას ახორციელებს და რა ნიუანსებისა და წესების გათვალისწინება სჭირდება, რომ კვლევა რაციონალურად წარიმართოს და სარწმუნო შედეგებით დასრულდეს.

მართალია, დამსაქმებელთა და სხვა კვლევითი დაწესებულებების მხრიდან პროგრამის მხარდაჭერა დასტურდება დოკუმენტურად და სიტყვიერად (ინტერვიუს შედეგებით), თუმცა ვერ გაეცა პასუხი კითხვას: რომელი პრობლემური საკითხის კვლევა ესახებათ საკუთარ ბაზაზე რეალისტურად ან საჭიროდ დოქტორანტის დასაქმების/ბაზის გამოყენების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- დასახვეწია კურსის - სამეცნიერო კვლევის მეთოდების შინაარსი, და შესაცვლელია მისი მიზნები და ამოცანები; კერძოდ, მისასადაგებელია პროგრამის სწავლის შედეგებს.
- პროგრამა უნდა მოიცავდეს ბიოსტატისტიკის მეთოდების სწავლებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის განვითარების მიზნით პოტენციურმა სამეცნიერო ხელმძღვანელებმა, საკუთარი კვლევის სფეროს ინტერესებისა და კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის ვებგვერდზე (რუბრიკით კვლევა) პერიოდულად უნდა გამოსცენ და განაახლონ შესაბამისი,

პრიორიტეტული და ქვეყნის ვეტერინარიისთვის რელევანტური სამეცნიერო საკითხების მიმოხილვა და ამგვარად გააუმჯობესონ მომავალი დოქტორანტების ორიენტირებულობა ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამაზე და ასევე გაზარდონ პროგრამის სარგებლიანობა ფართო საზოგადოებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; სწავლის შედეგები გაზომვადი და შეფასებადია. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი (50 კრედიტი) მოიცავს სავალდებულო (40 კრედიტი) და არჩევით სასწავლო კურსებს (10 კრედიტი). სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს შემდეგ კურსებს: ✓ პროფესორის ასისტენტობა - 10 კრედიტი; ✓ სამეცნიერო წერის მეთოდები - 5 კრედიტი; ✓ სამეცნიერო კვლევის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი; ✓ სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი; ✓ სამეცნიერო პროექტის მენეჯმენტი - 5 კრედიტი;

- ✓ სადოქტორო სემინარი - 10 კრედიტი.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება თავად კურსის სწავლის შედეგებს, ის ბოლომდე არ უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას.
კერძოდ:
პროგრამის შედეგებში სხვა შედეგებს (უნარი) შორის განსაზღვრულია შემდეგი:
„3. ამუშავებს ადეკვატურ მეთოდოლოგიას კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელების, ზედამხედველობისა და კვლევებში ექსპერიმენტული მოდელის შესაქმნელად;
4. პრობლემის გადაჭრისათვის მოიძიებს ინფორმაციას, იღებს სწორ და ეფექტიან გადაწყვეტილებას შესაბამისი კვლევების განხორციელების შესახებ, ახდენს ახალი რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას“
კურსის - სამეცნიერო კვლევის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდები ფარგლებში სამეცნიერო კვლევის ლაბორატორიული მეთოდების შესწავლა არ არის ზემოთ მითითებული უნარების გამომუშავებისთვის საკმარისი, რადგან ფოკუსირებულია მხოლოდ კლინიკური და ლაბორატორიული კვლევის ტექნიკურ მხარეზე.

სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსს.

სასწავლო კურსების კრედიტები განსაზღვრულია საუნივერსიტეტო, ერთიანი მიდგომით, კერძოდ, სასწავლო კურსები 10 ან 5 კრედიტიანია. მიუხედავად აღნიშნულისა, სასწავლო კურსების შინაარსისა და დოქტორანტის დატვირთვის შეფასების შედეგად არ გამოკვეთილა სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობის ცვლილების საჭიროება. სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს.
არჩევითი კურსების სილაბუსების გაცნობისას იკვეთება, რომ შინაარსით, მიზნებითა და შედეგებით კურსი ორიენტირებულია ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტზე და არა ახალგაზრდა მკვლევარზე.

არჩევითი კურსების სილაბუსებში შესაბამისის სფეროს/პრობლემური საკითხის თანამედროვე ინგლისურენოვანი მიმოხილვითი სტატიების დეფიციტია. ცნობილი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები 3-4 წელიწადში ერთხელ ახლდება. მიმოხილვითი სტატიები კი პრატქიკულად ყოველწლიურად ქვეყნდება.

ამას გარდა, დოქტორანტი არ უნდა სწავლობდეს იმ თემებს რაც ნასწავლი აქვს ან ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე ეტაპზე უნდა ესწავლა. დოქტორანტები უახლეს სამეცნიერო, ვიწრო მიმართულებებს უნდა ეზიარონ, ისწავლონ ლიტერატურის სწორი მოძიება, დამუშავება, განსჯა, განხილვა, მონაცემების დამუშავება, კვლევის დიზაინი და დაგეგმვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა; ○ თვითშეფასების დოკუმენტი; ○ ინტერვიუ ხარისხის სამსახურთან და ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები: გასაუმჯობესებელია არჩევითი საგნების სილაბუსებში მითითებული საკითხების შინაარსი, კერძოდ მისასადაგებელია დოქტორანტის-მკვლევარის მოთხოვნებსა და შესაძლებლობებთან; ყველა არჩევითი საგნის სილაბუსში უნდა იყოს მითითებული მოცემულ დარგში მიმდინარე კვლევების ტენდენციების და ე.წ. State of the Art. ამსახველი ინგლისურენოვანი სამეცნიერო მიმოხილვები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება, ასევე ამზადებს დოქტორანტებს უმაღლეს განათლებაში სწავლებისთვის. ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის განმახორციელებელი პირების განაცხადის შესაბამისად, ორიენტირებულია პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ფარგლებში, არამედ სასწავლო კომპონენტის ფარგლებში. საგანმანათლებლო პროგრამა, მისი სტრუქტურითა და შინაარსით, შეესაბამება დასახელებულ მიზანს და უზრუნველყოფს დოქტორანტებში შესაბამისი უნარების განვითარებას.

კერძოდ, დოქტორანტების კვლევითი უნარების განვითარება ხდება სადოქტორო სემინარის ფარგლებში, როდესაც დოქტორანტი მუშაობს სასემინარო კვლევაზე, ხოლო შემდგომ ახდენს კვლევის შედეგების პრეზენტაციას. კვლევის შედეგების პრეზენტაცია და ნაშრომის დაცვა ხორციელდება აუდიტორიის წინაშე, რაც ხელს უწყობს დოქტორანტის პრეზენტაციისა და დისკუსიის, საკუთარი კვლევის შედეგების წარდგენის უნარების განვითარებას. სადოქტორო სემინარის თემა არ შეიძლება იყოს სადოქტორო დისერტაციის თემის ნაწილი.

ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს კვლევითი უნარების განმავითარებელ თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასევე ტარდება პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციები, ხოლო 2021 წელს გაიმართა უნივერსიტეტისა და თურქეთის რესპუბლიკის კავკასიის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტის ერთობლივი სიმპოზიუმი სავეტერინარო მედიცინაში. სამეცნიერო ნაშრომები გამოიცა შრომათა კრებულში.

ასევე, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში დაინერგა შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების კონკურსის, რომელის შეფასებისას გათვალისწინებულია ახალგაზრდა მკვლევართა და დოქტორანტთა ჩართულობა. აღნიშნული ხელს შეუწყობს დოქტორანტთა

ჩართვას სამეცნიერო-კვლევით აქტივობებში.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ასევე ითვალისწინებს პროფესორის ასისტენტობას, როგორც სავალდებულო სასწავლო კურსს. მის ფარგლებში, დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა განივითაროს პედაგოგიური საქმიანობისთვის აუცილებელი უნარები.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუების მსვლელობისას არაერთხელ აღინიშნა დოქტორანტთა მიერ კვლევების დამსაქმებელთა ბაზაზე განხორციელების შესაძლებლობა. უნივერსიტეტთან მემორანდუმით კავშირში მყოფ დამსაქმებლებთან და პარტნიორი კვლევითი ცენტრების წარმომადგენლებთან საუბრისას, მათ მიერ სიტყვიერად დადასტურდა მზაობა კვლევით პროექტებში დოქტორანტების ჩართვის შესახებ, თუმცა მოცემული ეტაპისთვის არ დასახელებულა რომელიმე კონკრეტული კვლევითი პროექტი, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა ახალგაზრდა მკვლევარების მონაწილეობა ან თუნდაც კვლევის მონაცემების გაზიარება მათთვის. ასევე არ თქმულა (ინტერვიუებზე), ან დაწერილა, ან გამოვლენილა, კერძოდ რომელი პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება იქნებოდა პრიორიტეტული დამსაქმებლისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- თანამშრომლობის ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, პარტნიორ კვლევით ცენტრებთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მემორანდუმით განსაზღვრულ პარტნიორ კვლევით ცენტრებთან დოქტორანტების კვლევით საქმიანობაში ჩართვის დაგეგმვისას უფრო დეტალურად უნდა იყოს განსაზღვრული რომელ კონკრეტულ აქტივობებში იქნება დოქტორანტების ჩართვა მათ ბაზაზე შესაძლებელი. აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაციის გაცვლა-შეთანხმება საჭიროებისამებრ რეგულარულ ხასიათს უნდა ატარებდეს, რათა მაქსიმალურად ეფექტურად გამოვლინდეს შესრულებადი და მიზანშეწონილი საკვლევი საკითხების ნუსხა და დოქტორანტებმა არ დაკარგონ წლები მათ ძიებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კურსები, ისევე როგორც კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები თანმიმდევრულია და ლოგიკური, ატარებს კომპლექსურ ხასიათს. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სადოქტორო საფეხურს, კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ვინაიდან პროგრამა გამიზნულია უმაღლესი განათლების მესამე საფეხურისთვის, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და სტრატეგიების შერჩევისას, პროგრამის შემუშავების ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა იმგვარ მიდგომებზე, რაც ხელს შეუწყობს დოქტორანტებში დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანის, ფაქტების, მოვლენების, ცნებების ანალიზისა და ინტერპრეტაციის, ცოდნის კონსტრუირება-შექმნის უნარებს. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდები, როგორიცაა: დისკუსია/დებატები, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, შემთხვევების შესწავლა და სხვ. უცხოელი ან უცხოენოვანი სტუდენტების არსებობის შემთხვევაში პროგრამაზე მოხვედრის წინაპირობად ქართული ენის ცოდნა არის მითითებული, რაც წესით მოხსნის სწავლება-

სწავლისა და შეფასების პროცესების რთულად განხორციელებადობის პრობლემას. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტების ინდივიდუალურ საჭიროებებს და პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, დოქტორანტებს ექნებათ შესაძლებლობა ისარგებლონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში და სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ სწავლება-სწავლის მეთოდები და შესაბამისი აქტივობები; ○ ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, ხარისხის სამსახურთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა შეფასების სისტემა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება N3-ს. სტუდენტის შეფასება სასწავლო კომპონენტში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით. სტუდენტებს აქვთ საშუალება გაეცნონ მიღებულ შედეგებს, შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა.

სადოქტორო პროგრამისა აღწერილობა, ასევე სასწავლო კურსების სილაბუსები ადასტურებს, რომ სტუდენტების შეფასების პროცედურები საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია, ამასთან, შეფასებებისთვის რაციონალურად გამოიყენება როგორც წერითი, ისე ზეპირი ფორმები.

სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასება შემოფარგლულია სადისერტაციო ნამუშევრის შეფასებით, რომლის შაბლონური ფორმის აღწერაც გასაგებია - პროცედურა შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, და აგრეთვე კვლევის კომპონენტების შესრულების დადგენით. თუმცა, კვლევის კომპონენტებს შორის - სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების კომპონენტი მეტისმეტად ლიბერალურია.

დოქტორანტს, დოქტორის ხარისხის მინიჭებისთვის იმპაქტფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ, მის კვლევასთან დაკავშირებული სულ მცირე ერთი სტატიის ავტორობა/თანაავტორობაც კი არ მოეთხოვება; აგრეთვე, სტატიის გამოქვეყნების ალტერნატივად პატენტი ან პრეპარატის წარმოებაში დანერგვაა მითითებული, დღევანდელ პირობებში მათი გამოყენება სამეცნიერო სტატიის საპირწონედ არ არის სამართლიანი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, გადაიხედოს მოთხოვნები სამეცნიერო კვლევით კომპონენტთან მიმართებით.

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვეტერინარიის მიმართულებით დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მუხლის (13. დისერტაციის დაცვისათვის მომზადება) 13.5-ე პუნქტში იკითხება, რომ: „ერთი რეცენზენტი შეიძლება იყოს უცხოეთის რომელიმე სასწავლო, სამეცნიერო ან კვლევითი დაწესებულების მოქმედი ან გადამდგარი თანამშრომელი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.“ სასურველია, რომ სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში გარანტირებულად იყოს გარე შემფასებლის/შემფასებლების (არა აუცილებლად უცხოელის) მონაწილეობა უზრუნველყოფილი; ასეთ შემთხვევაში, ჩანაწერში უნდა მიეთითოს - არა შეიძლება, არამედ „უნდა“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში და საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები: ○ სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის შეფასება საჭიროებს გადახედვას და მოთხოვნების გამკაცრებას. რეკომენდებულია, სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნება გახდეს სავალდებულო ყველა დოქტორანტისთვის და პროგრამაში არსებული ჩანაწერი რომ „პატენტი ან პრეპარატის წარმოებაში დანერგვა ენაცვლება აღნიშნულ მოთხოვნას“ ანულირდეს.ამასთან, ნაცვლად რეფერირებული ჟურნალისა, როგორც ამჟამად არის განსაზღვრული პროგრამით, დოქტორანტს ჰქონდეს ვალდებულება, გამოაქვეყნოს სტატია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, რომ სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში გარანტირებულად იყოს გარე შემფასებლის/შემფასებლების (არა აუცილებლად უცხოელის) მონაწილეობა უზრუნველყოფილი; ასეთ შემთხვევაში, ჩანაწერში უნდა მიეთითოს - არა შეიძლება, არამედ „უნდა“.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის		√		

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

   პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის გაცნობისა და ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუების შედეგების მიხედვით, დასტურდება რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე რეგულირდება სტუდენტის სტატუსის მოპოვების, მისი შეჩერების და/ან შეწყვეტის, სტატუსის აღდგენის, განათლების აღიარების, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების საკითხები. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს Moodle-ის ელექტრონული პლატფორმა, რომლის საშუალებითაც ხდება სტუდენტებსა და უნივერსიტეტს შორის კომუნიკაცია და სასწავლო მასალების გაზიარება. ასევე, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა კომპიუტერული სასწავლო ოთახები, დოქტორანტებისთვის გამოყოფილი სივრცე (ოთახი), რომელიც აღჭურვილი იყო რამდენიმე პლანშეტით და ეკრანით. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ადგილზე ვიზიტის დროს არსებული საბიბლიოთეკო რესურსის დათვალიერების დროს დადასტურდა რომ უნივერსიტეტში არსებობს რამდენიმე საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა, მაგალითად, Scopus, ScienceDirect და SAGE APCs for Open Access Journals და სხვა. აღსანიშნავია, რომ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას ჯერ არ ჰყავს აქტიური სტუდენტი და არც კურსდამთავრებული. თუმცა, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ამავე უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებსა და აგრონომიის, ქართული ფილოლოგიისა და ინფორმატიკის დოქტორანტების გამოკითხვა. გარდა ამისა, ადგილზე ვიზიტის დღეს შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამავე უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულები.

ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტებისთვის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან კომუნიკაციის საშუალებები ცნობილია და წარმატებით გამოიყენება. კერძოდ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდი და ელექტრონული ფოსტა. თუმცა, ზოგიერთი დოქტორანტის მიერ აღინიშნა რომ კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელთან კომუნიკაციის საათები არ არის რეგულირებადი და შეიძლება იყოს ყოველდღიური კომუნიკაციაც განუსაზღვრელი ვადით. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში არსებული კვლევის კომპონენტის ნაწილისთვის განისაზღვროს პროფესორთან/სამეცნიერო ხელმძღვანელთან კონსულტაციის რეგლამენტირებული დრო და ყველა დოქტორანტს მიეწოდოს ამის შესახებ ინფორმაცია.

სასურველია რომ თვითშეფასების ანგარიშში აღწერილი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები პუბლიკაციების მომზადებასთან დაკავშირებით გახდეს სავალდებულო ხასიათის სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისთვის, რომ მათი სამეცნიერო და აკადემიური აქტივობის ხარისხი ამაღლდეს. იმისათვის რომ დოქტორანტებმა იცოდნენ იმ ჟურნალების შესახებ ინფორმაცია სადაც გეგმავენ გამოქვეყნებას და სადოქტორო ნაშრომებში ასახული კვლევითი კომპონენტის ნაწილი გაუმჯობესდეს.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, უსდ-ის მიერ განსაზღვრული სტრატეგიით, საწყის ეტაპზე, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს თურქეთის რესპუბლიკის კავკასიის უნივერსიტეტი უნივერსიტეტთან (ყარსი). რასაც ადასტურებს მათ მიერ ჩადებული საერთაშორისო სიმპოზიუმი და გამოცემული შრომათა კრებული სავეტერინარო მედიცინაში. თუმცა სასურველია ვეტერინარიის მიმართულებით სხვა საერთაშორისო პარტნიორების მოძიება და კოლაბორაციული მათ შორის ერთობლივი კვლევების დაგეგმვა და კვლევითი მიმართულებების გაძლიერება, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი იქნება სადოქტორო საფეხურის განვითარებისთვის.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში კონსოლიდირებული ბიუჯეტიდან ხორციელდება წარმატებული სტუდენტების წახალისება, კერძოდ, სტიპენდიების გაცემა, მათი სრული ან თანადაფინანსებას საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვა ტიპის აქტივობებში. თუმცა, სადოქტორო საფეხურის კვლევებისთვის სასურველია გაიზარდოს საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის წახალისება და გარე დაფინანსების წყაროების მოძიება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- დადგენილება სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების შესახებ
- www.sjuni.edu.ge - სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სადოქტორო საფეხურის კვლევითი პროექტებისთვის ვეტერინარიაში სასურველია გაიზარდოს საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის წახალისება და გარე დაფინანსების წყაროების მოძიება.
- სასურველია ვეტერინარიის მიმართულებით არსებულ ან სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად დაიგეგმოს კვლევითი პროექტების მიმართულებები არსებული რესურსების გათვალისწინებით დაზუსტდეს და კონკრეტულად ჩამოყალიბდეს საკვლევი საკითხები (მაგალითად, კვლევის სათაური, კვლევის დიზაინი, კვლევის ინსტრუმენტი), რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში კვლევითი მიმართულებების გაძლიერებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშით და მასზე თანდართული დოკუმენტაციით, ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ დოქტორანტურის თითოეულ სტუდენტს ეყოლება კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად შეიძლება დაინიშნოს თანახელმძღვანელიც, რომელიც შეიძლება იყოს დარგის ან მომიჯნავე სფეროს სპეციალისტი. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა. კერძოდ, სამეცნიერო ხელმძღვანელს შეუძლია საბაკალავრო,

სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე ჯამურად აქტიური სტატუსის მქონე 5 სტუდენტის ხელმძღვანელობა.

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასევე სხვა უნივერსიტეტიდან მოწვეული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მკვლევარი (მეცნიერი). ასევე, აღსანიშნავია რომ დოქტორანტს შეიძლება ჰყავდეს უცხოელი ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, რაც ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას და ერთობლივი კვლევითი პროექტების დაგეგმვას და განხორციელებას. ამასთან, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს დოქტორანტის ხელმძღვანელი. მათ შორის, დოქტორანტის ხელმძღვანელის ფუნქციებში აღნიშნულია რომ სამეცნიერო ხელმძღვანელს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სფეროში უნდა ჰქონდეს კვლევის გამოცდილება (გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს ნაშრომები), თუმცა ალბათ უფრო სასურველი იქნება რომ ყურადღება გამახვილდეს ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებზე და ხელმძღვანელის მიმდინარე კვლევით პროექტებში ჩართულობაზე. ვინაიდან, მაგალითად, პროგრამაში ჩართულ ზოგიერთ პირს (ვეტერინარიის დოქტორანტის პოტენციურ სამეცნიერო ხელმძღვანელს) google scholar-ში ბოლო 5 წლის განმავლობაში არც ერთი სამეცნიერო გამოქვეყნებული პუბლიკაცია უფიქსირდება.

დამატებით, მნიშვნელოვანია რომ თემის ხელმძღვანელის მიერ შეთავაზებულ იყოს კვლევითი პროექტის იდეა, რომელიც იქნება დისერტაბელური და მხოლოდ დოქტორანტობის მსურველზე არ იქნება დამოკიდებული საკვლევი თემის მოფიქრება და კონცეფციის ჩამოყალიბება. ასევე სასურველი იქნებოდა დოქტორანტისთვისაც სავალდებულო იყოს ერთი მანუსკრიპტის/პუბლიკაციის მომზადება და გამოქვეყნება საერთაშორისოდ აღიარებულ IF და peer-reviewed ჟურნალში, რათა გაუმჯობესდეს კვლევის ხარისხი და სადისერტაციო ნაშრომში გამოქვეყნებული შედეგები იყოს საერთაშორისოდ აღიარებული.

ვინაიდან, პროგრამას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი არ გაცნობია ვეტერინარიის მიმართულებით დაცულ სამაგისტრო ნაშრომებს. თუმცა, ვიზიტის დღეს დაწესებულებამ მოგვაწოდა სხვა დარგობრივი მიმართულებით დაცული სადოქტორო ნაშრომები, რომლებშიც დაცული იყო აკადემიური წერის სტილი და ასევე

რამდენიმე დაცული ნაშრომის ნახვა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც არის შესაძლებელი. გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის და ინტერვიუების თანახმად, გათვალისწინებულია რომ სადოქტორო ნაშრომები შემოწმდება Turnitin-ის პლატფორმის გამოყენებით და მხოლოდ ამის შემდეგ წარედგინება საბჭოს/რეცენზენტს შესაფასებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის ხელმძღვანელის, ასევე მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის და ადმინისტრაციული პერსონალის ფუნქციები და მოვალეობები; ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელების ხელშეკრულების ფორმა. ○ სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია რომ პუბლიკაციების მომზადებასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრები ან კურსები გახდეს სავალდებულო ხასიათის სადოქტორო საფეხურის ყველა სტუდენტისთვის, რათა მათი სამეცნიერო და აკადემიური აქტივობის ხარისხი ამაღლდეს. ○ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმებში, სასურველია ყურადღება გამახვილდეს ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებსა და ხელმძღვანელის მიმდინარე კვლევით პროექტებში ჩართულობაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაში მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამას ახორციელებენ ვეტერინარიის დარგის, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალები, მრავალწლიანი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ფუნქციები და დატვირთვა სრულადაა შესაბამისობაში საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, რომელიც რეგულირდება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში შემუშავებული შიდა რეგულაციებით.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის დამადასტურებელია მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, წარმოდგენილი ადგილობრივ თუ საერთაშორისო ჟურნალებში, ასევე მათ ავტორობით გამოქვეყნებული მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები, თუმცა ხაზი უნდა გაესვას, პროგრამაში ჩართული ზოგი პედაგოგის მიერ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, ბოლო წლების მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების სიმცირეს.

აღსანიშნავია პროგრამის განმახორციელებელ პედაგოგთა ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია ასევე სრულ შესაბამისობაშია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ მოთხოვნებთან.

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრული დატვირთვა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობა, ასევე მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობები, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმატებით წარმართვას.

ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 15 პედაგოგი. მათ შორის 8 აფილირებული პროფესორი, 2 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 5 მოწვეული სპეციალისტი, რომელთა უმრავლესობას უკავია პროფესორის პოზიცია საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, დამხმარე პერსონალის (4 თანამშრომელი) ჩართულობა უზრუნველყოფს, სასწავლო პროგრამის განხორციელებას და მათთვის მინიჭებული სხვა ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (10/5), ლექტორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა (15/3) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის ხელმძღვანელი მიეკუთვნება ვეტერინარიის დარგის წამყვანი მეცნიერების რიცხვს, მას უდავოდ გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, იგი უშუალოდა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შესამუშავებლად მან გაითვალისწინა თურქეთის და ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება.

ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობა ცალსახად ხაზს უსვამს პროგრამის ხელმძღვანელის საერთაშორისო დონის მეცნიერის კვალიფიკაციას. ასევე გასათვალისწინებელია მის მიერ დაპატენტებული ორი გამოგონება და პრეპარატის მიღების მეთოდიკა.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს მრავალი წლის პედაგოგიური გამოცდილება, როგორც ვეტერინარული განათლების დაწყებით საფეხურზე ასევე უმაღლეს საფეხურზე, მისი ხელმძღვანელობით მომზადებულია და დაცულია 6 სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ხელმძღვანელების პირადი საქმე;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამაში ჩართული აკადემიური / მოწვეული პერსონალის პირადი ფაილები: CV,

პუბლიკაციები, საკონფერენციო ნაშრომები, კონკურსის მასალები, შრომითი ხელშეკრულებები; ○ გასაუბრება აკადემიურ / მოწვეულ პერსონალთან; ○ გასაუბრება კურსდამთავრებულებულებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა და მოწვეულმა პედაგოგებმა გამოიჩინონ მეტი ძალისხმევა, მათ მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების საერთაშორისო, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი. პერსონალის პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სისტემატური მონიტორინგი, ძლიერი და სუსტი მხარეების

გამოვლენა, წარმოადგენს უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების სამსახურის ერთ-ერთ უმთავრეს საქმიანობას. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანალიზის ჩატარების მიზნით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კვლევითი საქმიანობის კონცეფცია, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია აკადემიური პერსონალის კვლევის დაგეგმვაზე, შეფასების ინდიკატორებსა და დატვირთვის სქემაზე. უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა შეფასების და შემდგომი მისი განვითარების მხარდაჭერის მიზნით ტარდება აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო ბიუჯეტის ფორმირება. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესში ასევე ჩართულები არიან სტუდენტებიც, მათი ჩართულობა აღნიშნულ პროცესში მეტყველებს პედაგოგიური პერსონალის შეფასების ობიექტურობის მაღალ ხარისხზე. ხაზი უნდა გაესვას უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სამეცნიერო-საგანმანათლებლო ვორქშოპების და კონფერენციების სიმრავლეს. 2019 -2021 წლებში უნივერსიტეტის ჩართულობით ჩატარებულ იქნა 14-ზე მეტი ტრენინგი და კონფერენცია, პროგრამის თანდართული მასალების მე-13 დანართში დაწვრილებითაა აღწერილი ამ თრენინგების და კონფერენციების თემატიკები. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის კონცეფციის ფარგლებში შემუშავებულია შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების საკონკურსო დებულება, რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული, შიდა საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის ზოგადი პირობები. ხაზი უნდა გაესვას, რომ აღნიშნული შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსი წარმოადგენს უნივერსიტეტის ბაზაზე მიმდინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანების სტიმულირების მნიშვნელოვან ფაქტორს. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ქვეყანაში მოქმედ ვეტერინარული, სამედიცინო თუ ბიოლოგიური მიმართულების წამყვან ინსტიტუციასთან, რაც ცალსახად ხელს უწყობს როგორც განათლების პროცესის სრულყოფას ასევე, პედაგოგიური, სამეცნიერო-კვლევითი პერსონალის პროფესიულ ზრდას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემები; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სტატისტიკური მონაცემები პერსონალის შესახებ; ○ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ○ აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; ○ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები; ○ გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსი მდებარეობს ახალციხეში, შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის, აქვს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, სადაც არის საკმაო რაოდენობის ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები, Windows -ის სხვადასხვა ოპერაციული სისტემით. უნივერსიტეტს გააჩნია განახლებადი წიგნადი ფონდით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელიც როგორც სტუდენტებს, ისე აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით. ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში (Elsevier, Scopus) რისი *დემონსტრირებაც* ადგილზე მოხდა და შესაძლებელია

ლიტერატურაზე დისტანციური წვდომა.

ადგილზე დათვალიერდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები,სადაც მომავალში იგეგმება სავეტერინარო კლინიკის მოწყობა.

ამჟამად დაწესებულებას არ გააჩნია ვივარიუმი, თუმცა სამომავლოდ იგეგმება მისი აშენება, ხოლო ვივარიუმებზე დოქტორანტთა წვდომა უზრუნველყოფილია მემორანდუმებით შესაბამის დაწესებულებებთან.

ასევე არ არის თანამედროვე გენეტიკური კვლევისთვის არსებული აპარატურა, თუმცა აღნიშნული პროგრამის განხორციელებისა და დოქტორანტთა კვლევისთვის პრობლემას არ წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტს, კვლევის მიზნებისთვის დასჭირდება მსგავსი კვლევების ჩატარება, აღნიშნული შესაძლებელია მემორანდუმით დაკავშირებულ სხვადასხვა დაწესებულებაში. მემორანდუმით დაკავშირებულ დაწესებულებებს გააჩნიათ მზაობა, დოქტორანტებმა კვლევა განახორციელონ მათ ბაზაზე, მუშაობის დეტალების სპეციფიკა კი განისაზღვრება შესაბამისი კვლევის მიმართულებისა და საჭიროების დოქტორანტების მიღებისას.

უნივერსიტეტს მემორანდუმი აქვს გაფორმებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ახალციხის ფილიალთან, რომელიც საკმაოდ კარგად არის აღჭურვილი სხვადასხვა დანიშნულების აპარატურით, აქვს BSL 2 უსაფრთხოების დონის ლაბორატორია, მოწყობილია საერთაშორისო სტანდარტებით და აქვს ინსინერატორი, რაც საკმაოდ იშვიათია.

მემორანდუმის ფარგლებშივე არსებობს შესაძლებლობა, რომ დოქტორანტმა კვლევის ნაწილი ჩაატაროს თურქეთში, ყარსში, კავკასიის უნივერსიტეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გაცნობა ადგილზე;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის ადგილზე დემონსტრირება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- ინტერვიუების შედეგები პერსონალთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

საჭიროა ვეტერინარული კლინიკის მოწყობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში კონსოლიდირებული შემოსავლების-გასავლების ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. უნივერსიტეტის ხარჯვით ნაწილში ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ითვალისწინებს: პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურებას; აკადემიური/მოწვეული პერსონალის თანადაფინანსებას სამეცნიერო ნაშრომის გამოსაქვეყნებლად; კონფერენციებზე, ფორუმებზე, ტრენინგებსა და სხვა. მონაწილეობის სამივლინებო ხარჯები; სტუდენტთა კონფერენციების ჩასატარებელ ხარჯებს; სტუდენტთა წახალისების ხარჯებს; ადმინისტრაციის ხარჯებს; პროგრამის მდგრადი განვითარების ხარჯებს. მიუხედავად იმისა რომ წარმოდგენილი ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია „ადმინისტრაციული ხარჯები“ (7108,2 ლარი), რომელიც შესაძლებელია ითვალისწინებდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხარჯებს, მიგვაჩნია რომ აუცილებელია პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს ხარჯები ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და რეკონსტრუქციისათვის.

აღსანიშნავია, რომ გარდა საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან დაფინანსებული თემატიკებისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა წარმოდგენილია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო საგრანტო პროექტებით, რომელთა დაფინანსების წილი ცალსახად ისახება უნივერსიტეტის ფინანსურ შემოსავლებში. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომლის ბაზაზეც ხორციელდება ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა წარმოადგენს უსდ-ის ფინანსურად სტაბილურ და მდგრად სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება, ფაკულტეტის შემოსავლები არის სტაბილური და ადვილად პროგნოზირებადი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი; ○ ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში; ○ გასაუბრება უნივერსიტეტის ფინანსური სამსახურების წარმომადგენლებთან.
რეკომენდაციები: ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულ იქნეს ხარჯები ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და რეკონსტრუქციისათვის, მათ შორის, ვეტერინარიული კლინიკის მოწყობისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაში	ნაწილობრივ შესაბამისობაში	არ არის შესაბამისობაშ

	მოთხოვნებთან	ა მოთხოვნებთან	ა მოთხოვნებთან	ი მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს **„დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“**. ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა ახალია, და შესაბამისად, მასთან მიმართებით დაწესებულებას არ დაუსრულებია უწყვეტი განვითარების ციკლი. შეფასება ეყრდნობა აკრედიტაციის მიზნებისთვის წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესს და უნივერსიტეტში დამკვიდრებულ ზოგად პრაქტიკას. წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის გამოყენებული იქნა დამსაქმებელთა და შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი, ასევე გარე კოლეგიური შეფასება. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, წარმოდგენილ თანდართულ მასალასა და ინტერვიუირებაზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მმართველ რგოლებთან, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით. ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით, **ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით (2021 წლის 30 აპრილის სხდომის ოქმი N4) შეიქმნა** სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები, მოწვეული სპეციალისტები, კურსდამთავრებულები, ადმინისტრაციული პერსონალი - საზოგადოებასთან

ურთიერთობის სამსახურისა და საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტები, სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და უნივერსიტეტის ფინანსური განყოფილების, ასევე ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლები. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობა იყო მონაწილეობითი პროცესი.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების, განვითარების წესსა და პროცედურებს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილე სუბიექტებს განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებული სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 17 თებერვალს, დადგენილება N14). აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს პროგრამის განვითარებაში დაინტერესებული მხარეების მექანიზმებს, ასევე პროგრამის სამუშაო/თვითშეფასების ჯგუფის შექმნის მეთოდოლოგიას, სამუშაო/თვითშეფასების ჯგუფის ფუნქციებსა და წევრების შერჩევის მეთოდოლოგიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის შემუშავების პროცესი წარიმართა ფართო მონაწილეობით, დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის აკადემიური პერსონალის, ისევე, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის თანამშრომლობა. ამასთან, უნივერსიტეტში დამკვიდრებული პრაქტიკის ანალიზი, წარმოდგენილი თვითშეფასებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის ანალიზი, ისევე, როგორც ინტერვიუს შედეგები, იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამის შეფასების პროცესში წარმოდგენილი იყო როგორც ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე მათი იმპლემენტაციის შედეგები. ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებისა და მათი გამოყენების შედეგების უფრო დეტალური ანალიზი, ისევე როგორც პრაქტიკის გაუმჯობესებისკენ მიმართული მოსაზრებები მოცემულია წინამდებარე დასკვნის 5.3 სტანდარტის კომპონენტის აღწერილობით ნაწილში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის მიზნებისთვის წარმოდგენილი სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღმწერი დოკუმენტის მიხედვით, უნივერსიტეტისთვის ხარისხის გარე უზრუნველყოფა გულისხმობს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებს, პარტნიორი უნივერსიტეტებისა და საგანმანათლებლო ინსტიტუციების ჩართვას გარე შეფასების პროცესში და კოლეგების (peer review) კულტურის დანერგვას სასწავლო და სამეცნიერო მუშაობაში.

გარე ხარისხის შეფასება წარმოდგენილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ხორციელდება არსებული რეგულაციების მიხედვით. ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შესაფასებლად წარედგინა როგორც ადგილობრივ (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეს, მთავარ ვეტერინარ ოფიცერს, ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) ევროპის რეგიონული კომისიის ბიუროს გენერალურ მდივანს და ამ ორგანიზაციაში საქართველოს დელეგატს), ასევე უცხოელ შემფასებელს (თურქეთის რესპუბლიკის კავკასიის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტის დეკანსა და პროფესორს). საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების დასკვნები წარმოდგენილია პროგრამის სააკრედიტაციო მასალებში.

ადგილობრივი ექსპერტის/კოლეგის მიერ წარმოდგენილი დასკვნა შესაძლებელია განხილული იყოს, როგორც მხარდაჭერის წერილი - გარე შემფასებელი, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სახელით, დადებითად აფასებს წარმოდგენილ პროგრამას, მის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს, კვლევის თემატიკასა და ადამიანურ რესურსს და მხარს უჭერს სსიპ- სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამის განხორციელებას.

უცხოელი კოლეგაც აღნიშნავს, რომ პროგრამა მომზადებულია ევროპული და საერთაშორისო განათლების მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული დასკვნაც უფრო მეტად წარმოადგენს მხარდაჭერის წერილს, ვიდრე გარე შეფასებას.

გარე კოლეგიური შეფასებების შედეგად არ გაცემულა რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამაში თუ მის ცალკეულ სასწავლო კურსში ცვლილებების განხორციელების შესახებ, სადოქტორო პროგრამის სტრუქტურაზე, კვლევით თემატიკასა თუ სხვა საკითხებზე.

მისასალმებელია დაწესებულების მხრიდან საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით გარე კოლეგიური შეფასებების განხორციელება და კოლეგების პოზიტიური შეფასება. თუმცა, სამომავლოდ, სასურველია, განხორციელდეს უფრო სიღრმისეული და დეტალური შეფასებები, რომელიც მოემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, რაც გარე შეფასების ძირითადი ფუნქციაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გარე (კოლეგიური) შეფასების შედეგი;
- ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ვეტერინარიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების გარე კოლეგიური შეფასებები უფრო მეტად იყოს ფოკუსირებული საგანმანათლებლო პროგრამის თუ მისი კომპონენტების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაზე, პროგრამის განვითარების მიზნით რეკომენდაციების წარმოდგენაზე, ვიდრე პროგრამის განხორციელების შესახებ რეკომენდაციის გაცემაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანამანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას, პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმებს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ინსტრუმენტებს, პროგრამისა და სილაბუსის შემუშავების ინსტრუქციებსა და ფორმებს და სხვა, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარების, მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებულ რეგულაციებსა და მექანიზმებს თავს უყრის „სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“.

დოკუმენტი მკაფიოდ აღწერს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესს, ასევე პროგრამის განვითარებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას, რაც აღწერილია დასკვნის 5.1. სტანდარტის კომპონენტის აღწერილობით ნაწილში.

შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის კვლევების პერიოდის ჩარჩო, კვლევები დაკავშირებულია სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან. მაგალითისთვის, დოქტორანტების კმაყოფილების კვლევა, რომელიც ჩარჩოს მიხედვით ყოველწლიურად ხორციელდება, ემსახურება უნივერსიტეტის შემდეგ სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს: სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, დოქტორანტის სასწავლო-სამეცნიერო რესურსებით უზრუნველყოფა, დოქტორანტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, დოქტორანტთა გადინების რისკის კატეგორიის პრევენცია. დოქტორანტურის საფეხურის სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავებულია ცალკეული კითხვარი დოქტორანტებისთვის, რაც მისასალმებელია.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მექანიზმისა და ინსტრუმენტის მეშვეობით, შეფასება მოიცავს:

- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას (სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა);
- სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას;
- პერსონალის საქმიანობის შეფასებას.

თავის მხრივ, აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება ხდება პერსონალის ანგარიშის, პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიშის, პერსონალის ურთიერთდასწრების, სტუდენტთა გამოკითხვისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასების კითხვარის საშუალებით.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ინსტიტუციაში დანერგვის დონის შეფასების მიზნით, ვიზიტის ფარგლებში დამატებით იქნა გამოთხოვილი ხარისხის

მექანიზმების გამოყენების შედეგები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა „სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე დოქტორანტთა მიერ პროგრამის ვადაში დასრულების ანალიზის შედეგები“. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე დოქტორანტთა პროგრესიის შეფასება კარგი პრაქტიკაა, თუმცა დოკუმენტი არ მოიცავს ინფორმაციას, თუ რა ვადაში (რამდენ სემესტრში) დაასრულეს დოქტორანტებმა სწავლა. დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია უნივერსიტეტში მოქმედ სადოქტორო პროგრამებზე, მათ ხელმძღვანელებზე, მითითებულია, დოქტორანტის თემის დაცვის თარიღი, დისერტაციის სახელწოდება და მიღებული შეფასება. სრულყოფილი შეფასების მიზნით, მნიშვნელოვანია უფრო სიღრმისეული ანალიზი. რაც შეეხება დოქტორანტთა გამოკითხვის შედეგებს, დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის შედეგად წარმოდგენილი იქნა დოქტორანტების გამოკითხვის ფორმა, თუმცა არა ანალიზი, შესაბამისად, აღნიშნული ხარისხის შეფასების მექანიზმი ვერ ჩაითვლება დანერგილად. წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით განხორციელებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნათა კვლევა, ასევე, როგორც აღინიშნა, პროგრამამ გაიარა კოლეგიური შეფასება. ასევე, დამატებით წარმოდგენილი იქნა აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები 2020-2021 სასწავლო წლისთვის. წარმოდგენილი ანგარიში ასახავდა შეფასების შედეგებს ფაკულტეტების შესაბამისად, თუმცა რეკომენდაციის სახით გაცემულია მოთხოვნა ინდივიდუალური შედეგების წინა წლის შედეგებთან დადარებისა და შემდგომი მიზეზების კვლევის შესახებ. ასევე, წარმოდგენილი იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების ფაკულტეტის საბჭოზე განხილვის ოქმი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით, ხოლო შეფასების შედეგები გამოიყენება ხარისხის გასაუმჯობესებლად. შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დეტალურია, შემუშავებულია საჭირო ინსტრუმენტები. თუმცა, სადოქტორო პროგრამების განხორციელების ხარისხის სრულყოფილი მონიტორინგისთვის, მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ, განხორციელებული შეფასებები (მაგ. დოქტორანტების პროგრესიის შეფასება) გახდეს უფრო სიღრმისეული, ხოლო მეორეს მხრივ, არსებული მექანიზმები, როგორიცაა, მაგალითად დოქტორანტთა გამოკითხვა, დაინერგოს სრულყოფილად. ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამისთვის, დაწესებულებამ, ასევე შეიძლება განიხილოს ფოკუს-ჯგუფები თუ ჩაღრმავებული ინტერვიუები უფრო ეფექტიან საშუალებად პროგრამის ხარისხის შესაფასებლად, ვიდრე რაოდენობრივი გამოკითხვა. ვიზიტისას განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, პირველ წელს იგეგმება მაქსიმუმ სამი დოქტორანტის მიღება, დოქტორანტთა რაოდენობის ზრდა, ამ ეტაპზე არ იგეგმება არც მომდევნო წლებისთვის, შესაბამისად, რაოდენობრივი კვლევა შესაძლოა არ იყოს ეფექტიანი მცირე ჯგუფებისთვის. მართალია, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ინტერვიუებსა და ფოკუს-ჯგუფებს, თუმცა ის განიხილება რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის დაზუსტების საშუალებად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურების შედეგები;
- სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების შედეგები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევის შედეგები;
- კოლეგიური შეფასების შედეგები (დასკვნა).

რეკომენდაციები:

- სრულად დაინერგოს სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში და პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, იმსჯელეთ კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილებაზე (მაგალითად, ფოკუს-ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების გამოყენება გამოკითხვის ნაცვლად);
- უნივერსიტეტი ახორციელებს დოქტორანტთა მიერ პროგრამის დასრულების მაჩვენებელს, რაც მისასალმებელია სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის, თუმცა, რეკომენდებულია, ანალიზი მოიცავდეს უფრო სრულყოფილ ინფორმაციასა და ანალიზს დოქტორანტების პროგრესიის შესახებ - რამდენ აქტიურ სემესტრში ასრულებენ დოქტორანტები სადოქტორო ნაშრომზე მუშაობას, რა არის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები და სხვა ინფორმაცია, რაც მოემსახურება სადოქტორო პროგრამების ხარისხის განვითარებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობებ ი	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა (დოქტორანტურა)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ექსპერტთა ჯგუფი:

გიორგი მელაშვილი (თავმჯდომარე)

ირაკლი ჯანაშია (წევრი)

ლევან ციცქიშვილი (წევრი)

თინათინ გაბრიჩიძე (წევრი)

მირანდა ნონიკაშვილი (წევრი)

მირანდა ნონიკაშვილი (წევრი)